ვაშა, „აია“, ვაშა!

გამარჯვების თანმდევი ამ ტრადიციული ომახიანი შეძახილით დაასრულეს საჩემპიონატო მატჩი ქუთაისელმა მორაგბეებმა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 195 (10 114) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის რაგბის მოედანი: 9 ოქტომბერი.

„აია“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 16:10 (10:8).

„აია“: ხარშილაძე, ე. ძაგნიძე, დეისაძე (ზუევი, 25), გეგუჩაძე, ხამაშურიძე, ნ. ძაგნიძე, მაღლაკელიძე (ლოსაბერიძე, 41), ტურძელაძე, ფირცხალავა, ლილუაშვილი, ისაკაძე, ნაჭყებია, შვანგირაძე (ფხაკაძე, 75), ოდიშარია, ზ. ლიპარტელიანი.

„ლოკომოტივი“: ბრატკო, ფირსოვი, კოსტიუკი (კარპუშენკო, 65). ოვჩინიკოვი, რუდენკო (კუზნეცოვი, 41), ბუგროვი, დანილოვი, ნეხოროშევი, დუტიკოვი, პრონინი, ივანოვი (ბარაშკოვი, 41), პლოტნიკოვი, კაშია, მოსიაკოვი, შარკოვი.

მსაჯი: იური კიანოვი (მოსკოვი).

გოლები: „აია“ — ლელო (11, ხამაშურიძე), არეკნი 3, (დეისაძე), სამი ხაჯარიმო (30, 60, 65: ნ. ძაგნიძე); „ლოკომოტივი“ — ლელო (57, მოსიაკოვი), ორი ხაჯარიმო (33, 73: ბუგროვი).

არის მატჩები, რომლებიც მთელი სეზონის ნაღვაწ-ნაამაგარს აგვირგვინებენ, გარჯის ნაყოფს ყველასთვის თვალსაჩინოს ხდიან. იმას კი ნამდვილად არაფერი სჯობს, თუ ასეთ მატჩს ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტულამდე მიჰყავხარ...

სწორედ ასეთი შეხვედრა ელოდა გუშინწინ ქვეყნის ორგზის ჩემპიონს „აიას“ მორაგბეთა გუნდს მოსკოვის „ლოკომოტივთან“. გამარჯვების შემთხვევაში ქუთაისელები ვადამდე ადრე, ზედიზედ მესამედ ხდებოდნენ ქვეყნის ჩემპიონები. სხვათა შორის, ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე ერთადერთი მარცხი აიელებმა სწორედ რკინიგზელებისგან იწვნიეს და რევანშზე ზრუნვაც საჭირო იყო. მატჩს დაძაბულობას ისიც მატებდა, რომ ლოკომოტიველებს, რომლებმაც საკმაოდ კარგად ჩაატარეს წლევანდელი პირველობა, წარმატების შემთხვევაში ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა ეძლეოდათ.

სწორედ ეს გარემოებანი გვპირდებოდნენ ამ მეტად პრინციპული შეხვედრის დაძაბულ სიუჟეტს და, ბუნებრივია, მან გულშემატკივართა დიდი ინტერესიც გამოიწვია. რაგბის მოყვარულები ამინდმაც დაინდო — ხანგრძლივი, კოკისპირული წვიმების შემდეგ ამ დღეს დასავლეთ საქართველოში, როგორც იქნა, გამოიდარა, მზემაც გამოანათა, მაგრამ გადაუღებელი წვიმებისაგან დამძიმებულ გრუნტს ბევრი არაფერი დასტყობია და ამან თავისი დაღიც დაამჩნია ისედაც უკომპრომისო მატჩს.

აიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიდანვე ლაღად, უაღრესად მაღალ ტემპში და, რაც მთავარია, ორგანიზებულად დაიწყეს თამაში. მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად (თუმცა ამაზე ქვემოთ), ყველა ხაზი შეთანხმებულად მოქმედებდა, ბურთი უმეტესწილად ზუსტ მისამართს პოულობდა და მასპინძელთა უპირატესობა დასაწყისშივე აშკარად გამოიკვეთა. ეს უპირატესობა მალე შედეგშიც

იხ. გვ. 2 გვ

დაბადების დღეს გილოცავთ, საქართველოს ეროვნულო ოლიმპიურო კომიტეტო!

6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლის დარბაზში მაყურებელს უნიკალური შესაძლებლობა მიეცა ერთად ენახა ჩვენი თანამემამულე ოლიმპიური ასპარეზობების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრაქტიკულად ყველა გამარჯვებული და პრიზიორი. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად სახელოვანი სპორტსმენები მოვიდნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის დაბადების დღეზე. აქ მისი დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა.

ფიზიკური სრულყოფისადმი სწრაფვა ქართველი ერის ოდინდელი ტრადიციაა. იგი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ბოლო ათწლეულებში, მას შემდეგ, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა ოლიმპიურ ასპარეზზე გამოსვლა დაიწყეს. 1952 წლიდან მოყოლებული, როცა ოლიმპიადის დებიუტანტ საბჭოთა სპორტსმენებს შორის საქართველოს წარგზავნილებმაც გამოიჩინეს თავი, მათ მოიპოვეს 84 ჯილდო, აქედან 28 ოქროს, 22 ვერცხლისა და 34 ბრინჯაოს მედალი. 25 ათლეტს მიენიჭა ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამჯერ ავიდა ვიქტორ სანეევი, ორჯერ — ლევან თედიაშვილი, თითოჯერ — დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, მზია ჯუღელი, გივი კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე, რობერტ შავლაყაძე, ავთანდილ ქორიძე, ნუგზარ ასათიანი, ვაჟა კაჭარავა, რომან რურუა, შოთა ჩოჩიშვილი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ვიქტორ კრატასიუკი, ალექსანდრე ანპილოგოვი, ქეთევან ლოსაბერიძე, ვახტანგ ბლაგიძე, შოთა ხაბარელი, ნინო სალუქვაძე, დავით გობეჯიშვილი, ვლადიმერ აფციაური, ვლადიმერ გოგოლაძე და გელა კეტაშვილი. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებში არაერთხელ გაუმარჯვიათ ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს.

ისინი ყველანი და მათი თანამოსანგრენი — უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების ლაურეატები ჩვენი ახალგაზრდობის მრავალი თაობისათვის პატრიოტიზმისა და თავგანწირვის, ნებისყოფისა და ოსტატობის, თავისი საქმისა და რესპუბლიკის ერთგული სამსახურის მაგალითს წარმოადგენენ. მათი მიღწევები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ საქართველო მართლაც სპორტული ქვეყანაა და რომ აქ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შესაქმნელად ყველა საფუძველი არსებობს.

სამწუხაროდ, ამ საზეიმო დღეს იმათთან ერთად, ვინც ჩვენს სამშობლოს სახელი გაუთქვა მსოფლიოს სპორტულ არენებზე, არ იყო სხვადასხვა წლის ოლიმპიადების რამდენიმე მონაწილე, რომლებიც ადრე დაგვშორდნენ. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ავთანდილ ქორიძის, ნინო დუმბაძის, ვლადიმერ რუბაშვილის, რომან ძნელაძის, ბორის ნიკიტინის, ანზორ კიკნაძის, გიორგი ნასყიდაშვილის, ავთანდილ ღოღობერიძის, ფრანაოზ ჩიკვილაძისა და დავით გვანცელაძის ხსოვნას. წუთიერი დუმილით სცეს პატივი აგრეთვე 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთა ხსოვნას.

კონფერენციის გახსნისას რესპუბლიკის სპორტული პრესის ფედერაციის თავმჯდომარემ, გაზეთ

იხ. გვ. 2 გვ

ინფორმაცია

ბათუმში დამთავრდა ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის გარი მერკვილაძის პრიზზე. ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი, 2. საქართველო–1, 3. ბელორუსია.

სურათებზე: ზევით — სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ქუთაისის მორაგბეთა გუნდი „აია“; ეპიზოდი განვლილი მატჩიდან „აია“ — „ლოკ ომოტივი“. თემურ ჯავახაძის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

გვიჭირს ინფორმაციის მიღება

3 ტურიც და დასრულდება მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. 12 ტურის შემდეგ შეჯიბრებას კვლავინდებურად რაფაელ ვაჰანიანი ლიდერობს. მას 7,5 ქულა აქვს. 6,5-6,5 ქულით შემდგომ ადგილებს იყოფენ ანდრეი სოკოლოვი, ლემბიტ ოლი და ვიაჩესლავ ეინგორნი. ბორის გელფანდს 6 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. 4 ქულა მოაგროვა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა გია გიორგაძემ, ოღონდ მას ორი დაუმთავრებელი პარტიაც აქვს. ბოლო სამ ტურში იგი დაუზავდა ბალაშოვსა და გელფანდს, ხოლო დვოირისთან შეხვედრა გადაიდო.

აქვე გვინდა ბოდიში მოვუხადოთ ჭადრაკის მოყვარულთ მოგვიანებული ინფორმაციებისთვის. საქმე ისაა, რომ თბილისის სატელეფონო ქსელის ახალ სისტემაზე გადართვასთან დაკავშირებით შეფერხებულია სატელეფონო კავშირი ოდესასთან, ჯერჯერობით არც ერთი ინფორმაცია არ მოუწოდებია საქდესსაც და ჩვენ მხოლოდ „სოვეტსკი სპორტის“ იმედზეღა დავრჩით.

ყველაზე ხანგრძლივი პარტია

როგორც ჭადრაკის გულშემატკივრებმა იციან, ლონდონში მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის IV პარტია ჰოლანდიელ იან ტიმანსა და ინგლისელ ჯონათან სპილმენს შორის გადაიდო. თამაშის განახლებისას მეტოქენი კიდევ დიდხანს არკვევდნენ ურთიერთობას და მხოლოდ 116-ე სვლაზე დაზავდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 3:2 ტიმანის სასარგებლოდ. ეს ჯერჯერობით ყველაზე ხანგრძლივი პარტიაა ინგლისის დედაქალაქში მიმდინარე ორ ნახევარფინალურ მატჩში. შეგახსენებთ, მეორე ორთაბრძოლაში ანატოლი კარპოვი ამარცხებს არტურ იუსუპოვს — 2,5:1,5.

ვაშა, „აია“, ვაშა!

(დასასრული)

აისახა — მე-3 წუთზე „აიას“ გამოცდილმა სამმეოთხედელმა მცველმა დეისაძემ თითქმის მოედნის შუა ხაზთან გარე ნახევარმცველისგან მიიღო ბურთი, სტუმრები აშკარად „მარაოს“ გაშლას ელოდნენ და ხაზი წინ წამოსწიეს, მან კი მოულოდნელად ოსტატურად დაარტყა არეკნით და ანგარიშიც გაიხსნა — 3:0.

ასეთ დასაწყისს მოსკოველები, რომლებსაც მთელი ყურადღება მასირებული დაცვისკენ ჰქონდათ გადატანილი, ნამდვილად არ ელოდნენ და შედრკნენ კიდეც. არადა, ქუთაისელთა შეტევები უფრო გამწვავდა. უკვე მერამდენედ ისახელეს თავი „აიას“ მორკინალებმა, რომლებიც ამ პერიოდში პირწმინდად ჯაბნიდნენ მეტოქეს და სწორედ მათი გამოცდილების და მაღალი ოსტატობის შედეგია ის ლელოც, მე-11 წუთზე რომ გავიდა — მოგებული მერკინების შემდეგ, ნახევარმცველებმა სწრაფად გაითამაშეს ბურთი და „აიას“ ვეტერანი ხამაშურიძე ფრიად სახიფათო პოზიციაში გაიყვანეს. გამოცდილი სამმეოთხედელის საბოლოო შეტევა უნაკლო გამოდგა და მან ეფექტურ ნახტომში ბურთი სტუმართა ჩათვლის მოედანს „დაამიწა“.

ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ გამოიჩინა თავი გუნდის კაპიტანმა და საუკეთესო ბომბარდირმა ნუგზარ ძაგნიძემ, რომელიც მანამდე თამაშის ორგანიზაციით იყო დაკავებული და შეტევის წინა ხაზზე მოქმედ თანაგუნდელებს „ამარაგებდა“ მახვილგონივრული გადაცემებით. 30-ე წუთზე მან საკმაოდ შორი მანძილიდან ჩვეული სიზუსტით დაარტყა საჯარიმო.

10:0 — დაგვეთანხმებით, ამ დონის მატჩში 30-ე წუთზე ასეთი ანგარიშით დაწინაურება მრავლისმეტყველია და აშკარად მიგვანიშნებს ქუთაისელ მორაგბეთა უაღრესად მონდომებულ თამაშზე. ეს მაშინ, როცა, ისევე როგორც მთელი სეზონის განმავლობაში, არც ამ მატჩში აკლდა ჩვენს გუნდს პრობლემები. დიახ, წლევანდელი პირველობა ძალზედ მძიმედ წარიმართა, სრული, ძირითადი შემადგენლობით გუნდს თითქმის არ უთამაშია, ხშირი ტრავმების გამო ბევრ მატჩში მთელი სიმძიმე ახალგაზრდობას აწვებოდა მხრებზე და ისინიც მონდომებას არ იშურებდნენ. მართალია, „აია“ ზოგჯერ ვერ ინარჩუნებდა გათამაშების ცხრილში ჩვეულ პირველ ადგილს, რამდენჯერმე სამეულსაც „ჩამოსცდა“, მაგრამ მორაგბეები, გულშემატკივრები და, რაც მთავარია, მწვრთნელები ერთი წუთითაც არ ჰკარგავდნენ ოლიმპის კიდევ ერთხელ დაპყრობის იმედს, მით უმეტეს, რომ როგორც ამბობენ, ჩემპიონობის მოპოვებაზე ძნელი მისი შენარჩუნებაა.

ამ ხანგრძლივ, მძიმე და დამქანცველ მარათონში ძალების სწორად განაწილებამ ის შედეგი გამოიღო, რომ გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაში, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში შეხვდა გადამწყვეტ ეტაპს და ეს „ლოკომოტივთან“ მატჩმაც დაადასტურა.

თუმცა დავუბრუნდეთ ისევ ამ „საჩემპიონო“ მატჩს. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში მოსკოველებმა მხოლოდ ერთადერთი საჯარიმოს გამოყენება შესძლეს (39, ბუგროვი) და ტაიმიც „აიამ“ მოიგო დამაჯერებელი ანგარიშით — 10:3.

ჩემპიონობამდე სულ რაღაც 40 წუთი რჩებოდა, მაგრამ რა ძნელი და უშეღავათო გამოდგა დროის ეს მცირე მონაკვეთი. შესვენებისას მოსკოველებმა რამდენიმე მოთამაშე შეცვალეს და ძალამოკრებილები შეეცადნენ თამაშის მსვლელობაში გარდატეხის შეტანას. 57-ე წუთზე მოსკოველებმა ლელო გაიტანეს და საამისო იმედიც ჩაესახათ, მაგრამ აქ თავისი გადამწყვეტი სიტყვა ისევ ნუგზარ ძაგნიძემ თქვა — ამ კულმინაციურ მომენტში მან ზედიზედ ორჯერ — მე-60 და 65-ე წუთებზე საკმაოდ ძნელი მდგომარეობიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმოები და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

მართალია, 73-ე წუთზე ბუგროვმა ანგარიშში სხვაობა კიდევ ერთხელ შეამცირა, მაგრამ „აიას“ გამარჯვება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა — მატჩის დასკვნითი მონაკვეთი მათი სრული უპირატესობით წარიმართა და მალე გაისმა კიდეც არბიტრის საფინალო სასტვენის ხმა...

ამრიგად, ანგარიშით 16:10 გაიმარჯვა ქუთაისის „აიამ“, რომელმაც ვადამდე ადრე, ზედიზედ მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული.



ძნელი წარმოსადგენია, რა ხდებოდა იმ დაუვიწყარ წუთებში ცენტრალური სტადიონის რაგბის მოედანზე.

— ვაშა, „აია“, ვაშა! — ომახიანად ქუხდა ქუთაისელ მორაგბეთა გამარჯვებების მასუწყებელი ეს ვაჟკაცური ყიჟინა, რომელიც სამი წელიწადია ასე ახარებს ქართული სპორტის მრავალრიცხოვან ქომაგებს.

მორაგბეთა მძლავრი ხელები, ჩვეულებისამებრ, ცისკენ ისროდნენ გუნდის უფროს მწვრთნელს დუგლას კავთელაშვილს, მოთამაშე-მწვრთნელს ოლეგ ლიპარტელიანს, მათ კოლეგებს, მეგობრებს.

ქუთაისელ მორაგბეებს, გუნდის ხელმძღვანელებს, რაგბის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარეს, ყველა ქომაგს და საერთოდ ქუთაისელებს ეს წარმატება პირველებმა მიულოცეს ახალშექმნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრებმა, პირადად სეოკ-ის პრეზიდენტმა, ჩვენმა სახელოვანმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომლის სტუმრობამ მეტი ლაზათი შემატა ჩვენი ბიჭების სიხარულს.

ეს გასაგებიცაა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის შემდეგ ეს ხომ ქართველ სპორტსმენთა პირველი დიდი გამარჯვება იყო საკავშირო სარბიელზე. დაე, ასეთი წარმატებები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზეც დაგვბედებოდეს.

დიდხანს გრძელდებოდა ზეიმი ქუთაისში. თუმცა ჩვენ ამით არ ვამთავრებთ „აიას“ მესამედ „აღზევებაზე“ საუბარს.

თამაზ ხარაბაძე.
„ლელოს“ საკ. კორ.

თემურ ჯავახაძის ფოტომონტაჟი
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

სსრ კავშირის ჩემპიონატ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარი მილოცვა

რამდენიმე დღე დაჰყო დიდ ბრიტანეთში ქუთაისის დელეგაციამ, რომელიც ქალაქ ნიუ-პორტში მიიწვიეს საპასუხო ვიზიტით, ამ ქალაქების დაძმობილების ხელშეკრულების თაობაზე. ქუთაისელებმა საჩუქარი — რაგბის ბროლის ბურთი გადასცეს დაძმობილების სიმბოლოდ. „ამ თასიდან ღვინის დალევა შეიძლება, — წერს აღფრთოვანებული ჟურნალისტი, — რაგბის ბროლის ბურთი ქუთაისელი ოსტატების ნახელავია, ნამდვილი ბურთი კი გუნდის ყველა წევრის ხელმოწერით არის დამშვენებული“. ქუთაისელებმა ინგლისელ მეგობრებს გაისად ქართულ მიწაზე რიგი სპორტული შეხვედრების ჩატარება შესთავაზეს, წინადადება სიხარულით იქნა მიღებული. ინგლისელებმა თავის მხრივ, ქუთაისელებს წინასწარ მიულოცეს სსრკ ჩემპიონატში მესამე გამარჯვება. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, გაზეთი 1989 წლის 27 სექტემბერს, ანუ გამარჯვების მოპოვებამდე რომ არ გამოსულიყო.

გთავაზობთ ქ. ნიუ-პორტის ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილ ფოტოსურათს, რომელზეც აღბეჭდილნი არიან „ქუთაისმშენის“ დირექტორი, „აია“-ს მენეჯერი თამაზ ბერეკაშვილი (მარჯვნივ) და ნიუ-პორტის მორაგბეთა კლუბის პრეზიდენტი იან ბარნარდი.

დაბადების დღეს გილოცავთ, საქართველოს ეროვნულო ოლიმპიურო კომიტეტო!

(დასასრული)

„ლელოს“ რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ ილაპარაკა მუშაობაზე, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა და საორგანიზაციო კომიტეტმა გასწია საქართველოს ეოკ-ის შესაქმნელად. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში პირველი ნაბიჯები იყო ოლიმპიური ჩემპიონების კლუბის, სპორტულ ფედერაციათა საბჭოს, საქართველოს ოლიმპიური აკადემიისა და მუზეუმის დაარსება. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აქტიური მონაწილეობით გაიშალა ოლიმპიური მოძრაობისა და მისი იდეალების ფართო პროპაგანდა, რომელმაც საზოგადოებრიობის მხარდაჭერა ჰპოვა ყველა დონეზე.

კონფერენციაზე გამოვიდნენ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი, საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის პრეზიდენტი დავით ციმაკურიძე, ოლიმპიური ჩემპიონები რობერტ შავლაყაძე და ვაჟა კაჭარავა, რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარე ვანო ყიფიანი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტი თამაზ კვაჭანტირაძე და სხვა მონაწილენი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის, მისი დამოუკიდებელი გასვლისათვის საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე, სადაც კიდევ უფრო განმტკიცდება მისი ავტორიტეტი, ეს მოვლენა ხელს შეუწყობს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, ერის ფიზიკურ გაჯანსაღებას, ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდა თაობის აღზრდას, მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადებას.

ისრაელის სპორტული საზოგადოებრიობის სახელით საქართველოს ეოკ-ს დაბადების დღე მიულოცა საერთაშორისო შაში ისრაელის 18-გზის ჩემპიონმა, ჯემალ სეფიაშვილმა, რომელიც წარმოშობით ჩვენი რესპუბლიკიდანაა. მან რწმენა გამოთქვა, რომ ისრაელისა და საქართველოს სპორტული კონტაქტების განვითარება და განმტკიცება ხელს შეუწყობს ორი ხალხის ძმურ ურთიერთობას.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობა.

(საქინფორმი).

• • •

„ლელოს“ რედაქციისაგან: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა ჩვენს გაზეთში 7 ოქტომბერს გამოქვეყნდა.

„ლოკომოტივი“ მიზანთან ახლოსაა

დასასრულს მიუახლოვდა საკავშირო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში პირველი ლიგის გუნდებს შორის.

უმაღლესი ლიგის საგზურისთვის იბრძვის ქუთაისის „ლოკომოტივიც“, როგორც „ლელოს“ 4 ოქტომბრის ნომერში გაუწყეთ, ჩვენს გუნდს ოთხი გასვლითი მატჩი აქვს ჩასატარებელი ლენინსკის „სტარტთან“ და ერთ-ერთ ძირითად კონკურენტთან სამარყანდის „სპარტაკთან“. სწორედ ამ მატჩებში უნდა გამოვლინდეს ის ორი გუნდი, რომლებიც გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ.

ჩვენი კორესპონდენტი თამაზ ხარაბაძე ამ დღეებში ყაზახეთის ქალაქ ლენინსკში დაუკავშირდა „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელს თემურ არჩაიას.

— მართალია, „სტარტი“ ლიდერთა შორის არ იმყოფება, მაგრამ 35 ქულით იგი მეშვიდე ადგილზეა და გამარჯვების შემთხვევაში ხუთეულში იმკვიდრებდა ადგილს. „სტარტთან“ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის — ერთი ქულის დაკარგვის უფლებაც არ გვქონდა. ამას ბიჭებიც კარგად გრძნობდნენ და მათ ორივე შეხვედრა დიდი მონდომებით ჩაატარეს. პირველი მატჩში ა. კოხრეიძემ და მ. ფულარიანმა ორი მშრალი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

განმეორებითი შეხვედრა კიდევ უფრო ძნელად წარიმართა. დასაწყისში ვაგებდით კიდეც, მაგრამ ჩვენმა ჰოკეისტებმა შესძლეს მობილიზება, თამაშში გარდატეხის შეტანა და ჩარკვიანისა და მამისეიშვილის გატანილმა ბურთებმა ასე საჭირო ქულები მოგვიტანეს.

42 თამაშის შემდეგ 57 ქულით კვლავ ერთპიროვნულად ვლიდერობთ, მაგრამ ყველაფერი ბოლო ტურში, 11 და 12 ოქტომბერს გადაწყდება ჩვენს ძირითად კონკურენტთან სამარყანდის „სპარტაკთან“ შეხვედრებში.

დაველოდოთ ცნობებს სამარყანდიდან.

„იმედი“ აფხაზეთის ჩემპიონია

ბალის რაიონის სოფელ სიდის ჩაის მეურნეობის გუნდმა „იმედმა“ (მწვრთნელი დ. ახჯაფარიძე, ინსტრუქტორ-მეთოდისტი ბ. თოდუა) 27 ქულით პირველად მოიპოვა აფხაზეთის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში.

24 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი დაიკავა დაბა განთიადის გუნდმა „ზნამიამ“ (მწვრთნელი გ. ძიძიგური). მესამე ადგილი (23 ქულით) ისევე, როგორც შარშან, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟის გუნდს „კოლმეურნეს“ ხვდა წილად (მწვრთნელი კუხალაშვილი).

შეჯიბრებამ გამოავლინა საუკეთესო ფეხბურთელები. საუკეთესო მეკარედ მიიჩნიეს ირაკლი მირცხულავა („კოლმეურნე“), საუკეთესო მცველად — ანატოლი კვეკვესკირი და ნახევარმცველად ზურაბ კიკნაველიძე (ორივე — „იმედი“), საუკეთესო თავდამსხმელად — არტურ როგარიანი („ზნამია“). ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა ალბერტ ნერსესიანი („აშხატანკი“, სოფ. შაუმიანოვკა), ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი — გენადი კუტარბა („კიარაზი“, ბიჭვინთა) და ჯუმა პანდარია („ამცაბზი“, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ყველაზე კორექტულ გუნდად დაასახელეს „ნაპერწკალი“) გალის რაიონის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობა.

გრიგორი პოლოსიანი.
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, აფხაზეთის ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილე.

ხურათზე: აფხაზეთის 1989 წლის ჩემპიონი „იმედი“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ

მინიფეხბურთის ნამდვილ ზეიმად იქცა დედაქალაქის ოთხი საუკეთესო გუნდის მიერ 9 ოქტომბერს გამართული ტურნირი, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი კოოპერაციული კლუბი „მრეტები“ იყო. ამ კლუბის ჩამოყალიბებამ თავის დროზე ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ბევრმის დაარსებას უნდობლადაც უყურებდა, მაგრამ გავიდა დრო და კლუბმა დაამტკიცა, რომ მისი უპირველესი მიზანი მინიფეხბურთის პოპულარიზაცია და განვითარებაა, საქართველოში კი ყველა პირობა არსებობს, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს ეს ლამაზი სახეობა.

ბოლო სამი წელია საკავშირო მასშტაბით გამართულ ასპარეზობებზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხელი არ მოცარვიათ, ისინი ყოველთვის საუკეთესოთა შორის იმყოფებოდნენ, „მრეტებმა“ კი შარშან ჩვენს დედაქალაქში გამართულ ოთხთა ტურნირზე, სადაც უმაღლესი ლიგის სამი კლუბი — მინსკის „დინამო“, ლენინგრადის „ზენიტი“, და ხარკოვის „მეტალისტი“ მონაწილეობდა, პირველი ადგილი დაიკავა. ვისაც ამ შეხვედრების ხილვის საშუალება მიეცა, დაგვეთანხმება, რომ ჩვენი გუნდი უძლიერესთა ელიტის წარმომადგენლებთან ჭიდილში მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე.

ახლა კი უშუალოდ ტურნირს დავუბრუნდეთ. კენჭისყრამ მეტოქეები ასე დააწყვილა: ვერა — „ოქროსუბანი“, „მრეტები“ — „საბურთალო“. პირველად მოედანზე „ვერისა“ და „ოქროსუბნის“ გუნდები გამოვიდნენ, მოასპარეზეთა შემადგენლობებში საკმაოდ იყვნენ გულშემატკივრებისთვის კარგად ცნობილი ფეხბურთელები. ოქროსუბნელთა ღირსებას ლანჩხუთის „გურიის“ დღევანდელი შემადგენლობის კაპიტანი და I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი მ. ჟორდანია იცავდა. ოქროსუბნელთა რიგებში გამოდიოდა, აგრეთვე, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ნ. კაკილაშვილი, რომელიც წლევანდელ სეზონში ბათუმის „დინამოს“ შემადგენლობაშია. სწორედ ამ ორი ფეხბურთელის გააზრებულმა თამაშმა გადაწყვიტა მატჩის ბედი ოქროსუბნელთა სასარგებლოდ. გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში (შეხვედრა კი ოთხი 15-წუთიანი ტაიმებისგან შედგება) აქტიურობდა, და გაიმარჯვა კიდეც — 4:2.

მეორე შეხვედრის დაწყების წინ, სადაც „მრეტები“ „საბურთალოს“ ხვდებოდნენ, მაყურებელთა უმრავლესობა უპირატესობას „მრეტებს“ ანიჭებდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს უკანასკნელი ხომ ხარკვეულწილად მასპინძლად მოგვევლინა, სწორედ სასახლეში გადიან წვრთნას ამ საინტერესო ტურნირის ორგანიზატორები. სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ „მრეტების“ მოთამაშეები, რომლებიც ერთხმად აღიარებდნენ, რომ მათ ბევრად

სარბიელზე არიან „მრეტებისა“ და საბურთალო-I-ის გუნდები.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

გაუადვილდებოდათ თამაში უმაღლესი ლიგის ნებისმიერ კოლექტივებთან და არა თბილისის გუნდებთან. შეხვედრამ დაამტკიცა, რომ მათი ვარაუდი სწორი იყო. მეტოქეებმა ტოლი არ დაუდეს ერთმანეთს და ერთსაათიან მონაკვეთში მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა. თავიდან ორი ბურთით „საბურთალოს“ ფეხბურთელები დაწინაურდნენ, „მრეტებმა“ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, გაათანაბრეს ანგარიში და ერთი ბურთით დაწინაურდნენ — 3:2. საბურთალოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაყარეს, ჯერ გაათანაბრეს ანგარიში და ძირითადი დროის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე, უკვე „მრეტები“ მოგვევლინენ მდევრის როლში. მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა, „მრეტების“ თავდამსხმელმა ოჩარაშვილმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 4:4. ასე დამთავრდა შეხვედრის ძირითადი დრო. დამატებით 5-5-წუთიან ტაიმებს შედეგი არ მოუცია. დებულების თანახმად დაინიშნა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები პირველ გამოუყენებელ პენალტამდე, აქ კი საბურთალოელებმა იმარჯვეს და შეძლეს ამ მეტად პრინციპულ მატჩში გამარჯვება.

სპორტის სასახლეს სხვა დროსაც მრავალჯერ უმასპინძლია მინიფეხბურთელთა ქალაქის, რესპუბლიკის, საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებისთვის, მაგრამ ამ დღეს სასახლეში მოსული ყველა გულშემატკივარი დაგვიდასტურებს, რომ ასეთი ლამაზი საფეხბურთო სპექტაკლი მათ იშვიათად უნახავთ.

ფინალური შეხვედრა გუშინ შედგა, პირველი ადგილისთვის ერთმანეთს „საბურთალოსა“ და „ოქროსუბნის“ გუნდები შეხვდნენ. აქვე გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის: „მრეტები“ — „ვერა“.

ზაზა კახაძე.

შესარჩევი მატჩი

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ევროპის VII შესარჩევ ჯგუფში ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა პრაღაში მიიღეს პორტუგალიის გუნდი და გაიმარჯვეს ანგარიშით — 2:1. სტუმრების კარში ორივე ბურთი გაიტანა ბილეკმა, საპასუხო გოლის ავტორია პორტუგალიელი აბუაში.

თამაში უკიდურესად დაძაბულ, სტრესულ ვითარებაში ჩატარდა. დასავლეთგერმანელი მსაჯი ვ. შმიდტჰუბერი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მოთამაშე ს. გრიგი, რომელმაც მანამდე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ეს მოხდა მე-18 წუთზე, მთელი დარჩენილი დრო ჩეხოსლოვაკიელებმა 10 ფეხბურთელით ჩაატარეს.

გარდა ამისა, გაფრთხილებები დაიმსახურეს ი. კოჩიანმა (ჩეხოსლოვაკია), ჰ. ვენანსიუმ, რ. ბარუშმა, პ. ფუტრემ და ა. ანდრემ (პორტუგალია), მატჩის დამთავრების შემდეგ წითელი ბარათი დაიმსახურა ა. ანდრემ.

VII შესარჩევ ჯგუფში ლიდერობენ ბელგიელები — 10 ქულა. ჩეხოსლოვაკიელებს 9 ქულა აქვთ, პორტუგალიელებს — 7.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-90

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ

ტელემაუწყებლებმა 8 ოქტომბერს იხილეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა შორის ქალაქ კარლ-მარქს-შტადტიდან, ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი არავინ დარჩენილა, მან თავის შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად იბრძოლა, საბჭოთა ფეხბურთელებმა ერთი ქულის აღების იმედით აშკარად პასიურად წარმართეს თამაში და დამარცხდნენ კიდეც. ევროპის ზონის III შესარჩევ ჯგუფში ახლა დაუმარცხებელი აღარავინაა, ეს საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი წაგებაა და მატჩის შედეგმა, ცხადია, გარკვეული რეზონანსი გამოიწვია პრესაში, ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა გარკვეულ დაინტერესებას იჩენს საერთოდ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მსვლელობით და, კერძოდ, საბჭოთა გუნდის პერსპექტივებით.

პრესის რეაქცია აშკარად ნეგატიურია. „პრავდა“, მაგალითად, პირდაპირ წერს, რომ: „ეჭვს გარეშეა, ჩვენი ფეხბურთის მოყვარულები საბჭოთა ნაკრებისგან მოელოდნენ მინიმუმ ერთ ქულას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან შესარჩევ მატჩში და 100-პროცენტიან გარანტია-, საც იტალიაში გასამგზავრებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც გამოირკვა, ბილეთების შეკვეთა აპენინის ნახევარკუნძულზე გასამგზავრებლად ჯერ ადრეა“. და შემდეგ: „მთელ შესარჩევ ტურნირში ეს სსრ კავშირის ნაკრების პირველი დამარცხებაა. წაგება ყოველთვის უსიამოვნო გრძნობას იწვევს და ახლანდელი — მით უმეტეს, როცა ამის გამო ჯერ კიდევ ღიად რჩება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურის საკითხი ჩვენი გუნდის ბოლო შეხვედრამდე“.

„იზვესტია“ (სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი): „ჩვენი ფეხბურთელები ამ მატჩში აშკარად ისწრაფოდნენ ფრესკენ, ვინაიდან ერთ ქულას ისინი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გაჰყავდა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა გუნდის თამაში იმ „გასვლითი მოდელის“ აშკარა გამოხატულება იყო, რომელსაც ოდესღაც მიმართავდა კიევის „დინამო“, მაგრამ მაშინ მეტოქეებიც თანახმანი იყვნენ ფრეზე, ახლა კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა გამარჯვებისთვის იბრძოლა და თავისი შანსიც არ დაკარგა. დიახ, ჩვენ გავიტანეთ მეტად ლამაზი გოლი, დიახ, ბოლო წუთებში აქტიურადაც ვიბრძოდით, მაგრამ ეს იყო მატჩის მხოლოდ ბოლო წუთებში, მეტისმეტი სიმშვიდე კი საბოლოოდ თვითდაჯერებაში გადაიზარდა. განვლილი მატჩი კიდევ ერთ გაკვეთილად უნდა იქცეს ჩვენი ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის“.

„კომსომოლსკაია პრავდა“: „დაგვრჩა თამაში თურქეთის გუნდთან. თეორიულად ძნელიც კია წარმოვიდგინოთ, რომ ამ მატჩში საბჭოთა გუნდი ვერ შეძლებს თუნდაც იმ ქულის აღებას, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის გარანტიას იძლევა. და, მაინც, ფეხბურთში ხშირად ხდება მოულოდნელობები, ამიტომაც წინასწარი განწყობა თამაშის მშვიდობიანი შედეგისთვის, ვფიქრობთ, ან ღირს. ზედმეტი სიფრთხილით თამაშს რაც მოსდევს, ნათლად გვაჩვენა კარლ-მარქს-შტადტის შედეგმა. ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ ისე, როგორც შეგვიძლია და მაშინ ყველაფერი წესრიგში იქნება!“ წერილის ავტორია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ პილგუი.

გაზეთი „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“ აღნიშნავს: „იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ შესარჩევი ტურნირის დარჩენილ 3 მატჩში ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის გუნდებთან 3 ქულის აღება დაგეგმა, ასეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. 3 ქულა 3 მატჩში ჩვენი გუნდისათვის, თითქოს, შეუძლებელ საქმეს არ წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ავსტრიელებთან ფრემ და გერმანელებთან წაგებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ თურქეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდით, თურქებთან 8 ნოემბრის დარჩენილი მატჩის წინ შეიქმნა დაძაბული, ნერვული ვითარება, საქმე კი აქამდე არ უნდა მისულიყო.

„სოვეტსკი სპორტის“ საფეხბურთო მიმომხილველი ი. სეგენევიჩი აღნიშნავს, რომ ისტორია მეორდება და ჩვენს ნაკრებს, ისევე როგორც 4 წლის წინათ, მხოლოდ შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში უხდება ფინალში მონაწილეობისთვის საჭირო ქულების დაგროვებისთვის ზრუნვა.

ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲠᲙᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

„ᲑᲣᲠᲗᲕᲘᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ სპორტკომპლექსში გრძელდება თბილისის უბნების ჩემპიონატი მინიფეხბურთში. დასრულდა პირველი წრის შეხვედრები, რომლებიც დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა: „ვაჟა-ფშაველა“ —„ვერა“ 4:4, „გლდანი“ — „ვაზისუბანი“ 4:4, „საბურთალო —I“ — „საბურთალო — III“ 5:5.

შეუპოვარი იყო „ვაკისა“ და „დიდუბის“ მატჩი. ორივე გუნდი ქვეჯგუფში პირველ ადგილზე აცხადებდა პრეტენზიას, მიზნის მისაღწევად დიდუბელებს ფრეც ჰყოფნიდათ, „ვაკეს“ კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. პირველი გოლი დიდუბელმა გ. ქავთარაძემ გაიტანა. ვაკელთა თავდაუზოგავმა თამაშმა შედეგი არ გამოიღო, მათ მხოლოდ საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს (ნადირაშვილი), რის გამოც ქვეჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდნენ, მატჩის საბოლოო შედეგია ფრე — 1:1.

„ოქროსუბანთან“ საასპარეზოდ არ გამოცხადდა ორთაჭალის გუნდი, რის გამოც მათ, დებულების თანახმად, წაგება ჩაეთვალათ.

სოლოლაკელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს „დიმიტროვის“ გუნდი — 12:2. თავი გამოიჩინა სოლოლაკელმა თ. ფოფხაძემ, რომელმაც 9 გოლი გაიტანა.

აი, ის გუნდები, რომლებიც ოლიმპიური სისტემით გაგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონობისთვის: „ვაზისუბანი“, „საბურთალო-I“, „ვერა“ „ჩუღურეთი“, „საბურთალო-II“, „დიღომი“, „გლდანი“, „მუხიანი“, „კუს ტბა“, „საბურთალო-III“, „ოქროსუბანი“, „ვაჟა-ფშაველა“, „ისანი“, „ვაკე“, „სოლოლაკი“, „თემქა“. წილისყრა დღეს, 11 ოქტომბერს შედგება.

მიხეილ აგაიშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

ჩვენ ვიუწყებოდით, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (ასაკი — 21 წლამდე) საბჭოთა გუნდმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ გრიმში ანგარიშით 2:3 წაგო მასპინძლებთან.

ამ მატჩის შემდეგ მდგომარეობა ახალგაზრდული გუნდების ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ს.	ქ.
სსრ კავშირი	5	3	1	1	10-5	7
ჩდრ	5	2	1	2	7-6	5
ავსტრია	4	1	1	2	5-6	3
თურქეთი	4	1	1	2	3-8	3

სსრ კავშირის პირველობა ქალთა გუნდებს შორის • I ლიგა

ახალ სეზონს ძველი პრობლემებით...

დაიწყო I ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების 57-ე საკავშირო პირველობა. შეჯიბრებაში ჩაება 12 კოლექტივი: რიგის ტტტ, კაუნასის „ბანგა“, სვერდლოვსკის „ურალმაში“, დნეპროპეტროვსკის „სტალი“, ლენინგრადის „ვოლნა“ გორკის „შრომითი რეზერვები“, როსტოვის „კრასნი აქსაი“, პენზას „სპარტაკი“, სიმფეროპოლის „სპარტაკი“, ფრუნზეს „სტროიტელი“, ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩვენმა კალათბურთელებმა პირველსავე შეხვედრაში ტუმრად მოუგეს ტტტ-ს (70:67; 61:60), დასაწყისი კარგია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ შეიძლება თბილისელ სპორტსმენებს შარშანდელი პოზიციების შენარჩუნება გაუჭირდეთ, რადგან გუნდი დატოვეს გამოცდილმა კალათბურთელებმა — ოლგა კორკოტაძე, მარინა ნოვიკოვამ, სვეტლანა გორკომ. გუნდის ლიდერმა მედეა მხეიძემ ბილბაოში (ესპანეთი) გამართულ ახალგაზრდა კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე (იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა) ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით მთელი დატვირთვით ვერ ვარჯიშობს, ასევე ტრავმირებულია ახალგაზრდა კალათბურთელი ია მაგომედბეგოვა. დანაკლისის საკომპესაციოდ ახალბედებთან ერთად გუნდში მოიწვიეს ახალგაზრდა თავდამსხმელი ვერა კოზლოვა (მოსკოვის ოლქი).

რიგაში გამგზავრებამდე ახალი სეზონისთვის მზადებისა და გუნდის პრობლემების შესახებ ვესაუბრეთ მთავარ მწვრთნელს გარი არუთინოვს და რამდენიმე კალათბურთელს. აი, რა გვითხრეს მათ:

გ. არუთინოვი: პირველობისთვის მზადება 10 ივლისიდან დავიწყეთ, თვის ბოლოს ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე ესენტუკში ვიყავით, შემდეგ ლიტვის ქალაქ მარიამპოლეს ვესტუმრეთ და ადგილობრივ გუნდთან სამი ამხანაგური მატჩი გავმართეთ. იქიდან პოლონეთში წავედით და პოზნანში პოლიტექნიკური უნივერსიტეტების საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზეთ, სადაც დავამარცხეთ ლენინგრადის, ჰალეს (გდრ), ბუდაპეშტის (უნგრეთი), პოზნანის გუნდები და პირველი ადგილი დავიკავეთ. ტურნირიდან დაბრუნებულებმა ვარჯიში თბილისში განვაგრძეთ. წინ ძნელი ორთაბრძოლები გველის.

● ვის მოუწევს წლევანდელ შეხვედრებში გუნდის ღირსების დაცვა?

— ესენი არიან: ნატო ლორია (გუნდის კაპიტანი, დაიბადა 1959 წელს, სიმაღლე — 178 სმ), ნინო ყიფშიძე (1970, 176), ნინო სირაძე (1963, 174), მედეა მხეიძე (1969, 196), ქეთევან ქერდიყოშვილი (1971,184), თამარ ბუიოლოშვილი (1962, 178), თეა კომლაძე (1972,180), ნინო კურტანიძე (1959, 175), მანანა მაისურაძე (1967, 182), ვერა კოზლოვა (1968, 184), ხათუნა მირიანაშვილი (1971, 176), ლუდმილა ტოვსტიკა (1965, 177), ია მაგომედბეგოვა (1971, 177). დუბლშემადგენლობათა მატჩებში იასპარეზებენ ახალბედა კალათბურთელები: ნათია ჭულუხაძე (1975, 199), ნინა ჩეკურიშვილი (1973, 183), ირინე ცინცაძე (1975, 197), ნატალია ლასკუტოვა (1974, 188), ნინო წიკლაური (1974, 176), გულიკო გულიკაშვილი (1973, 180), მაკა ღონღაძე (1974, 176), თამრიკო მგალობლიშვილი (1974,170), ლელა დოღონაძე (1973, 180), ეკა ნონიაშვილი (1974, 171), მაია აბრამიშვილი (1973, 178), თამრიკო კანკია (1973, 170), ნონა ტურაშვილი (1974, 180).

● პრობლემებზე რას იტყოდით?

— ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და პირადად რექტორის, ბატონ გოჩა ჩოგოვაძის უშუალო ხელშეწყობით ბევრი საკითხი დადებითად გადაიჭრა, ზოგიერთი პრობლემა კი კვლავ მოუგვარებელი გვრჩება. პირველ რიგში ეს სპორტულ ბაზას ეხება. ინსტიტუტის დარბაზში მხოლოდ ორი ფარია, თანაც ზამთარში ცუდი გათბობაა, არა გვაქვს საერთო-ფიზიკური მომზადების დარბაზი შესაბამისი ტრენაჟორებით, რაც შეეხება ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზს, იგი არასტანდარტულია, ფიზიკური მომზადებისთვის ოთახი აქაც არ არის.

მედეა მხეიძე: დღემდე მოუგვარებელია სასტუმროს პრობლემაც, რის გამოც ვერ ხერხდება თბილისში საწვრთნელი შეკრებების ჩატარება, გუნდის ხელმძღვანელობა კონტროლს ვერ უწევს მოთამაშეთა კვებასა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, რაც თავისებურ გავლენას ახდენს კალათბურთელთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე.

ნატო ლორია: ჯერ კიდევ შარშან ავტობუსს შეგვპირდნენ, მაგრამ დღემდე ვერ ვეღირსეთ. არადა, გუნდის წევრებს ვინ ჩივის, მეტოქე გუნდებისა და მსაჯების წყვან-წამოყვანას ნაცნობ-მეგობრების დახმარებითღა ვახერხებთ.

თამარ ბუიოლიშვილი: ისიც სათქმელია, რომ სპორტულ ფეხსაცმელებს ველოდებით აგერ უკვე ორი წელია (!)...

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა გათამაშების ცხრილში ორი ქულა ჩაიწერა. 11-12 ოქტომბერს იგი კაუნასში „ბანგას“ შეხვდება, მომდევნო ოთხ ტურში კი მეტოქეებს საკუთარ მოედანზე მიიღებს. 21-22 ოქტომბრს ფრუნზეს „სტროიტელს“ უმასპინძლებს, 25-26 ოქტომბერს — სვერდლოვსკის „ურალმაშს“, 4-5 ნოემბერს — პენზას „სპარტაკს, 8-9 ნოემბერს — გორკის „შრომით რეზერვებს“. დანარჩენ კალენდარს მოგვიანებით გაგაცნობთ.

ვაჟა დანელია.

ინფორმაცია

ტულუზა. „გრან პრის“ სერიის საერთაშორისო ტურნირში ჩოსკველმა ანდრეი ჩესნოკოვმა პირველი წრის მატჩი ვენესუელელ ნიკოლას პერეირას მოუგო — 6:4, 6:3. ტალინელი ანდრეი ვისანდი კი ესპანელ ხოსე ფრანსისკოსთან დამარცხდა — 3:6, 3:6.

სიდნეი. ავსტრალიის ამ ქალაქში გაიმართა „გრან პრის“ სერიის ტურნირი, რომელშიც იუგოსლავიელმა სლობოდან ჟივოინოგიჩმა აჯობა ავსტრალიელ დარენ პატენს — 5:7, 6:2, 6:4.

ფილდერშტადტი (გფრ). საერთაშორისო ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა იუგოსლავიელმა მონიკა სელეშმა მოუგო ჰოლანდიელ ბრენდ შულტცს —4:6, 6:3, 6:4.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

პროფკავშირების ნფსს „შევარდენის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის რესპუბლიკურმა სკოლამ დაიწყო 1977-78, 1979-80 და 1981-82 წლებში დაბადებულ ბავშვების (როგორც ბიჭების, ისე გოგონების) მიღება.

გამოცდები გაგრძელებულია ოქტომბრის ბოლომდე • ყოველდღე 9-დან 12 საათამდე და 15-დან 18 საათამდე, ხოლო კვირაობით 10-დან 14 საათამდე. ბავშვებმა უნდა იქონიონ ჯანმრთელობის ცნობა.

გოგონებისა და ბიჭების შესარჩევად მოწვეულნი არიან წამყვანი სპეციალისტები, გამოცდები ჩატარდება „სინათლის“ სტადიონზე (ავჭალა), მუხიანის დასახლების და გლდანის მასივის სპორტკომპლექსის „ორიონის“ სპორტულ ბაზებზე.

პროფკავშირების ნფსს „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის რესპუბლიკური სპეციალიზირებული სკოლის დირექცია.

პროფკავშირების ნფსს „შევარდენის“ რესპუბლიკურ საბჭოსთან ჩამოყალიბდა ფეხბურთელ ქალთა გუნდი „შევარდენი“, რომელიც მომავალი წლიდან მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

გოგონებს 16 წლის ასაკს ზევით და ქალებს, რომელთაც სურვილი აქვთ ჩაირიცხონ გუნდში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. განაცხადი უნდა შეიტანოთ პროფკავშირების ნფსს „შევარდენის“ ფეხბურთის სამმართველოში (თბილისი ა. წერეთლის პრ.ისპექტი 95-ა, ოთახი 313).

პროფკავშირების ნფსს „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო, ამავე სამინისტროს სპორტკლუბი, საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი საავტომოლიბო სპორტში

მიხეილ იგორის ძე ლოგინოვი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გუნდის წევრს მალხაზ არზიანს დედის

ნელი ალექსანდრეს ასულ თელია-არზიანის

გარდაცვალების გამო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ერთპიროვნული ლიდერი

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მინსკი. ადგილობრივ რტი-სთან ორი გამარჯვების შემდეგ ტალინის „კალევი“ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. პირველი შეხვედრა ესტონელებმა მოიგეს ანგარიშით 81:78 (31:44), მეორე კი მინიმალური უპირატესობით 83:82 (46:47).

რიგა. ვეფ-მა ორივე შეხვედრა მოუგო ვილნიუსის „სტატობას“, თანაც ორივე დიდი ანგარიშით — 104:89 (51:50) და 105:82 (55:41).

მოსკოვი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და შარშანდელი ჩემპიონი, კიევის „ბუდიველნიკი“. მეტოქეებმა ქულები თანაბრად გაიყვეს. პირველი მატჩი მოიგეს სტუმრებმა 87:82 (43:38), მეორე — მასპინძლებმა 90:84 (47:44).

ალმა-ათა. „ყაზგირისმა“ მიმდინარე ჩემპიონატში მეორე მარცხი განიცადა. ამჯერად მას ადგილობრივმა არმიელებმა აჯობეს — 107:74.

მოსკოვი. დედაქალაქის დინამოელებმა პირველი შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკს“ მოუგეს ანგარიშით 92:81 (48:30).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

„კალევი“ (ტალ.)	8	7	1	15
ვეფ (რიგა)	8	5	3	13
ცსკა	6	5	1	11
„ბუდიველნიკი“ (კ.)	6	4	2	10
„ყაზგირ.“ (კაუნ.)	5	3	2	8
„შახტიორი“ (დონ.)	6	2	4	8
რტი (მინსკი)	6	2	4	8
ასკ (ალმა-ათა)	5	2	3	7
„დინამო“ (მოსკ.)	5	2	3	7
„სპარტაკი“ (ლენ.)	5	2	3	7
„დინამო“ (თბ.)	6	1	5	7
„სტატობა“ (ვილნ.)	6	1	5	7

წარმატება ორივე ტურნირში

ამას წინათ შვეიცის ქალაქ შელეფტეოში, იქ, სადაც მსოფლიო თასის გათამაშების VI, დასკვნითი ეტაპი ჩატარდა, ახლახან ორი საერთაშორისო ტურნირი მოეწყო.

მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულენი — საერთაშორისო დიდოსტატები ნანა ალექსანდრია და ნინო გურიელი, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ორივე ტურნირში.

ნინო გურიელი მოვიწვიეთ რედაქციაში და ვთხოვეთ ამ ტურნირების შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაეზიარებინა. გთავაზობთ მის ნაამბობს:

— შელეფტეოში ძირითადად ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიო თასის გათამაშების VI ეტაპი და ჭადრაკის გულშემატკივართა ინტერესი სწორედ ამ ტურნირისკენ იყო მიპყრობილი. ჩვენ მიგვიწვიეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რაზეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. ამ შეჯიბრებაში სულ 6 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემსა და ნანა ალექსანდრიას გარდა იყვნენ კიეველი ლიდია სემიონოვა, ესპანელი საერთაშორისო ოსტატი ნიევეს გარსია და ორი ნორვეგიელი მოჭადრაკე —ფიდე-ს ოსტატები დახლი და ჯონსონი. ტურნირი 2 წრედ ჩატარდა. მე კარგად ავაწყვე თამაში და 10 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი დავიკავე, აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი პარტია არ წამიგია. აი, როგორი შედეგებით დავამთავრე მიკრო-მატჩები: გარსიასთან — 2:0 გავიმარჯვე. ალექსანდრიასთან — 1,5:0,5, ჯონსონთან — 2:0, დახლთან — 1,5:0,5, ხოლო სემიონოვასთან ორივე პარტია ყაიმით დავასრულე.

6,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ლიდია სემიონოვა. 6 ქულით III ადგილი კი წილად ხვდა ნანა ალექსანდრიას. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. —გარსია — 5, V. დახლი — 3, VI. ჯონსონი — 0,5.

ნანას უკეთესად შეეძლო ეთამაშა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მას საკავშირო პირველობის შემდეგ ოფიციალურად არსად არ უთამაშია და სპორტულ ფორმაში არ იყო.

ამ შეჯიბრების დამთავრებიდან ერთი დღის შესვენების შემდეგ მე, ნანა ალექსანდრია და ლიდია სემიონოვა ჩავებით ვაჟთა ღია ტურნირში, სადაც სულ 74 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით 11 ტურად. ამ ასპარეზობაშიც მე და ნანამ კარგად ვითამაშეთ და 8-8 ქულით III-IV ადგილები გავიყავით.

ბოლო ტურში ვხვდებოდი შვედ ვინგეს, რომელმაც საბოლოოდ ჩვენს შემდგომი ადგილი დაიკავა, გამარჯვების შემთხვევაში შემეძლო II ადგილზე გადასვლა, მაგრამ რისკზე არ წავედი და მალე დავუზავდი მეტოქეს. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირშიც არც ერთი პარტია არ წამიგია.

ნანამაც კარგად დაიწყო ეს შეჯიბრება. მას 4 ტურის შემდეგ 4 ქულა ჰქონდა, მაგრამ ფინიშზე ცოტა „მოიკოჭლა“ და ბოლო 7 შეხვედრიდან 4 ქულა დააგროვა.

პირველ ადგილს კი 9 ქულით დაეუფლა შვედი დიდოსტატი თომას ერსტი, მეორე იყო გამარჯვებულის თანამემამულე ლარს დე გერმანი (8,5 ქულა).

რაც შეეხება ჩემს მომავალ გეგმებს. მივიღე მოწვევა პალმა-დე-მალიორკაში, სადაც 4 დეკემბერს იწყება შეჯიბრება, მაგრამ ის ემთხვევა საბჭოთა კავშირის პირველობას, რომელიც 14 ნოემბერს ვოლგოგრადში დაიწყება და რადგან ორივე ტურნირი ერთმანეთს ემთხვევა, უკანასკნელში ვამჯობინებ მონაწილეობის მიღებას.

საუბარი ჩაიწერა

ვასილ ვაშაკიძემ.

„სპორტპროგნოზი“, 48-ე ტირაჟის პროგრამა (20-22 ოქტომბერი)

პროგნოზი

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიგიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

1. ცსკა — „დინამო“ (რიგა)	20.X	80	10	10
2. „დინამო“ (მინსკი) — ასკ (ლენინგრადი)	20.X	40	30	30
3. „ტორპედო“ (გორკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	20.X	10	30	60
4. ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) — „დინამო“ (ხარკოვი)	20.X	70	20	10
5. „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	20.X	20	20	60
6. „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „ხიმიკი“ (კიევი)	20.X	50	40	10
7. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი)	21.X	80	10	10
8. „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	21.X	60	20	20

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)

9. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	22.X	80	10	10
10. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „პამირი“ (დუშანბე)	22.X	50	40	10
11. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	22.X	10	50	40
12. „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მინსკი)	22.X	40	50	10
13. „არარატი“ (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	22.X	40	50	10

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380036, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობიექტი ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10519